საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
MINISTRY OF FINANCE AND ECONOMY

www.mofea.ge

6018 ქ. ბათუმი, კომახიძის ქ. №119 ტელეფონი: (04 22) 27 35 10 (102) ფაქსი: (04 22 27 66 71)
6018 N 119 Komakhidze str, Batumi, Georgia Tel: (04 22) 27 35 10 (102) Fax: (04 22 27 66 71)

1016-01-10-2-201503111828

N 01-10/1016
11/03/2015

GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 90
თარიღი: 14 04 2015 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს რეფორმების ასოციაციის"
ვიცე-დირექტორს, ფაქტ-მეტრის მთავარ
რედაქტორს პაატა გაფრინდაშვილს
(მის.: ქ. ბათუმი, მემედ აბაშიძის N41)

ასლი: აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების
დეპარტამენტის თავმჯდომარეს დემურ დიასამიძეს
(მის.: ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86)

ბატონო პაატა

თქვენი 2015 წლის 9 მარტის წერილის (რეგ. N1282) და აჭარის ა.რ. ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტიდან 2015 წლის 10 მარტს გადმოგზავნილი (რეგ. N1322) თქვენი წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-6 მუხლის „ა" პუნქტის თანახმად, საჯარო ინფორმაციის ქსეროასლის გადაღების მოსაკრებელი შეადგენს – ერთი გვერდი 0,05 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე თქვენს მიერ მოთხოვნილმა საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელმა შეადგინა 75 თეთრი, რომელიც „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადახდილ უნდა იქნას უნაღდო ანგარიშსწორებით შემდეგ კოდზე - 300923173.

ამდენად, გთხოვთ გადაიხადოთ აღნიშნული მოსაკრებელი და წარმოგვიდგინოთ ბანკის მიერ გაცემული ქვითარი, რომლის შემდგომაც გაიცემა თქვენს მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ქსერო ასლები (15 ფურცელი).

იონა წითელაძე

ი. წითელაძე

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 20

2012 წლის 26 იანვარი ქ. ბათუმი

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული ქონების სს „გომარდული"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ"**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2012 წლის 24 იანვრის №01–10/408 წერილის გათვალისწინებით, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-5, მე-8 და მე-12 მუხლების შესაბამისად:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბარათაულში მდებარე 226 126 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №24.08.01.349); შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ გომარდულში მდებარე 40 496 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ№24.08.02.276); შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ გომარდულში მდებარე 187 660 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ№24.08.02.-275), შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ გომარდულში მდებარე 4499 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ№24.08.02.282), შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ გომარდულში მდებარე 2360 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ№24.08.02.285), შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭალაში მდებარე 2494 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №24.07.05.261); შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭალაში მდებარე 2499 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №24.07.05.262); შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ჭალაში მდებარე 55563 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ №24.07.05.260); შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ გომარდულში მდებარე 2700 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ№24.08.02.284), შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ გომარდულში მდებარე 3999 კვ. მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ№24.08.02.283) და კლიპტომერიის ჯიშის ხის მორები მოცულობით 436,61 კუბ. მეტრი პირდაპირი მიყიდვის ფორმით, საწყის ღირებულებაზე ნაკლებ ფასად 1 (ერთი) ლარად გადაეცეს სს „გომარდულს" (ს/კ № 447860164).

შემოსული კორესპონდენცია
425 26 01 2012

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში უზრუნველყოს სს „გომარდულის“ 10%-იანი აქციათა პაკეტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადმოცემა;

ბ) საპრივატიზებო თანხა გადაიხადოს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

გ) 2013 წლის 20 დეკემბრამდე საკუთრებაში გადაცემულ მიწის ნაკვეთზე ააშენოს 10 სასტუმრო სახლი, რესტორანი, მინი სტადიონი, ექსტრემპარკი, რისთვისაც განახორციელოს არანაკლებ 1 000 000 (ერთი მილიონი) ლარის ინვესტიცია და შექმნას 30 სამუშაო ადგილი, სადაც დასაქმებულთა არანაკლებ 90% უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ (ვ. ბოლქვაძე) ბრძანების შესრულების მიზნით უზრუნველყოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

ლევან ვარშალომიძე

# შ.პ.ს. „ექსპერტი XXI"

ქ. ბათუმი
გ. კონსტავას ქ.№ 10
ტელ. ფაქსი (0422) 27 66 19
მობ. ( 593) 72 22 71
( 593) 36 46 49

საზოგადოების საიდენტიფიკაციო კოდი 245623259
რეგისტრირებულია საქართველოს პარლამენტთან
არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოში
რეგისტრაციის №104. რეგისტ-ის თარიღი 30.06.2010


№14-06/07 13 ივნისი 2014 წ

## ს.ს „გომარდული"-ს მიერ კურორტ გომარდულზე ჩატარებული სამუშაოებისა და განხორციელებული ინვესტიციების შესახებ აუდიტორული დასკვნა.

დამოუკიდებელმა აუდიტორებმა ემზარ ქათამაძემ რომელიც ფლობს საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს მიერ გაცემულ საკვალიფიკაციო სერთიფიკატს ზოგად აუდიტში ზ№5/558, გაცემული 2011 წლის 13 ივნისს და უძრავი ქონების შემფასებლის სერტიფიქატს №057, გაცემული სქშეი-ის მერ არის საქართველოს ქონების შემფასებელ ექსპერტთა ინსტიტუტის წევრი. ს.ს. „გომარდული"-სთან 2014 წლის 13 ივნისს გაფორმებული №14-06/07 ხელშეკრულების საფუძველზე მოვახდინე, სს „გომარდული"-ს მიერ კურორტ გომარდულზე ჩატარებული სამუშაოებისა და განხორციელებული ინვესტიციების შესწაელა 2013 წლის 19 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელშეკულულებიდან გამომდინარე აუდიტს დაევალა დაედგინა

1. როდის არის გადაცემული სს „გომარდული"-ს 10%-იანი აქციების პაკეტი სახელმწიფოსათვის.
2. სს „გომარდული"-ს მიერ შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში არსებულ საკურორტო კომპლექსი გომარდულის ტერიტორიაზე სასტუმრო კოტეჯების, რესტორნის, მინი სტადიონის, ექსტრიმპარკის მშენებლობასა და მასზე განხორციელებული ინვესტიციები შესახებ ინფორმაცია.
3. რამდენი საქართველოს მოქალაქე იყო დასაქმებული სს „გომარდულში" 2013 წლის 30 დეკემბრამდე.

დამკვეთის მიერ შემსრულებელზე მიწოდებული იქნა სამეურნეო ოპერაციის ამსახველ პირველად დოკუმენტები და ამ დოკუმენტების საფუძველზე შედგენილ საბუღალტრო აღრიცხვის ელექტრონულ ბაზა (ორისი).

დამკვეთს ეცნობა, რომ „აუდიტორული საქმიანობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის თანახმად „პასუხისმგებლობა ბუღალტრული და საფინინსო ანგარიშების სწორად შედგენისა და მათი მომხმარებლებისათვის წარდგენისათვის ეკისრება სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელს", აგრეთვე აუდიტორის ეთიკის მე-8 მუხლის „ინფორმაციის კონფიდენციალურობისა" და მე-9.5 მუხლის „აუდიტორისათვის შეუთავსებელი ქმედების შესახებ, რომელიც გულისხმობს აუდიტორის მიერ მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობასა და აუდიტორისათვის შეუთავსებელ ქმედებებს.

აუდიტორული მომსახურეობისას განხორციელდა ქონების ვიზუალური დათვალიერებით, წარმოდგენილი პირველადი დოკუმენტალური მასალების შესწავლით.

პასუხისმგებლობას პირველადი დოკუმენდების სრულყოფილებასა და საბუღალტრო აღრიცხვის ელექტრონული ვერსიის სისწორეზე ეკისრება დამკვეთს.

### შემოწმებით დადგინდა

დამკვეთის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტალური მასალების შესწავლით და საკურორტო კომპლექსი გომარდული-ს დათვალიერებით მიეედით დასკვნამდე:

# დ ა ს კ ვ ნ ა

1. სს „გომარდული"-ს მიერ, აარ მთავრობაზე 2012 წლის 14 მაისს გადაცემულია (ჩუქებით) 10000 ცალი (საზოგადოების აქციების 10%) ჩვეულებრივი სახელობითი აქცია (სს „საქართველოს რეგისტრატორი"-ს მიერ 2014 წლის 21 მაისს გაცემული №14-02/009 ცნობა).
2. –სს „გომარდული"-ს მიერ შუახევის რაიონის სოფელ გომარდულში არსებულ საკურორტო კომპლექს გომარდულის ტერიტორიაზე აშენებული 5 (ხუთი) იდენტური ორ სართულიანი (სარდაფით) სასტუმრო კოტეჯი საერთო ღირებულებით 924 885 ლარი.

თითოეული კოტეჯის მთლიანი შიდა ფართობი 180.69 კვ.მ.-ია. კოტეჯები კეთილმოწყობილია, მათში მოწყობილია ელექტროგაყვანილობის, წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები, კოტეჯები აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით. ყველა კოტეჯში განთავსებულია თანამედროვე ავეჯი.

– საკურორტო კომპლექს გომარდულის ტერიტორიაზე აშენებული და კეთილმოწყობილია ორ სართულიანი რესტორანი ღირებულებით 226 762 ლარი. რესტორნის შიდა ფართობით 654.92 კვ.მ.-ია.

– სასტუმრო სახლების მიმდებარედ მიმდინარეობს სტადიონის მშენებლობა, კერძოდ სტადიონის ერთ მხარეს მოხსნილია კლდის მასა, მოპირდაპირე მხარეს მოწყობილია დამცავი კედელი, ტერიტორია მოსწორებულია და მოხვეინულია შემოზიდული ქვიშა-ღორღის ნარევით. დანახარჯები სტადიონის მშენებლობაზე შეადგენს 54840 ლარს.

–წარმოდგენილი მასალებით 2013 წლის 19 დეკემბრის მდგომარეობით ექსტრემპარკის მშენებლობასთან დაკავშირებით სამუშაოები არ ფიქსირედება.

საკურორტო კომპლეს გომარდულის სასტუმრო კოტეჯების და რესტორანის ნორმალური ფუნქციონირებისათვის განხორციელებულია ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები, საკომუნიკაციო უზრუნველყოფის მიზნით მოწყობილია ცენტრალური წყალმომარაგებისა და წყალ მომარაგების სისტემები, დამონტაჟებულია 70 ტონა ტევადობის წყლის შემკრები ავზი, რითაც ხდება წყლის მუდმივი მიწოდება საკურორტო კომპლეს გომარდულის ტერიტორიაზე განთავსებულ ობიექტებზე. აღნიშნულზე დანახარჯები შეადგენს 59530 ლარი.

გარდა ზემოთაღნიშნულისა საკურორტო კომპლეს გომარდულის ნორმალური ფუნქციონირებისათვის შეძენილია მანქანა დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები მოწყობილობა და ინვენტარი საერთო ღირებულებით 111216 ლარი.

აღნიშნული მშენებლობებისა და ინფრასტრუქტურის მოწყობისათვის ს.ს. „გომარდული"-ს მიერ განხორციელებულია სულ 1377233 ლარის ინვესტიცია.

3. ს.ს. „გომარდული"-ს დირექტორის 2012 წლის 01 იანვრის №12/01 ბრძანებით (ს.ს. „გომარდული'-ს საშტატო განრიგისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ) განსაზღვრულია 30 საშტატო ერთეული, 2013 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით საზოგადოებაში დასაქმებულია 30 საქართველოს მოქალაქე რომლებთანაც გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები.

შპს „ექსპერტი XXI"
დირექტორ-აუდიტორი ემზარ ქათამაძე